ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 52
ოთხშაბათი, 7 მარტი, 1901 წ.
გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 52
ოთხშაბათი, 7 მარტი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გამოვიდა ახალი წიგნი
სპარტაკი,
რომანი ჯიოვანიოლისა, თარგმანი ნ. ყიფიანისა. წიგნი „ქართ. შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება. ღირს სამი აბაზი. (3 – 55 – 2)

სამკურნალო კაბინეტი
დოქტორის
ი. იაკ. გოკიელისა,
იღებს ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და სალამოს 5—8 საათამდე. მიხეილის და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგანა აქვს. (100—256—28)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა
დილით:
ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
მ. გ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.
ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.
სალამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
სალამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შჯაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
ბ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ლ. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ ქალაქ განჯის 1-ლ ნაწილის ბოქაულის თანაშემწე მამულაშვილი განჯის საპატიმროს ზედამხედველად. ქალაქ შუშის მე-II ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის ასრულებელი თავ. გურამიშვილი განჯის მე-II ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის ასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან განჯის საგუბერნიო სამმართველოს საპოლიციო თანამდებობათა კანდიდატად ჩარიცხული პოდპორუჩიკი რუხილაძე.

ჩარიცხულ იქმნენ—განჯის საგუბერნიო სამმართველოში: ყაზახის მაზრის მე II ნაწილის პოლიციის ბოქაული თავ. ვაჩნაძე და ამავე მაზრის მე-IV ნაწილის პოლიციის ბოქაული თავ. ამილახვარი—საპოლიციო თანამდებობათა კანდიდატად.

ებოძა პოლკოვნიკობა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის პოდპოლკოვნიკს მამაცაშვილს.

◆

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 6 მარტს, ტფილისის სათავად აზნაურო სკოლაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად.

⁂ გაზეთ „Русскія Вѣдомости“-ში ა. ხახანაშვილის წერილია დაბეჭდილი განსვენებულის პოეტის რაფიელ ერისთავის შესახებ.

⁂ 5 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულში მცხოვრებ ხიზანთა, რომელთაც მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებოდათ. ტფილისის ოლქის სასამართლომ მათ სხვა და სხვა ვადით დაპატიმრება გადაუწყვიტა თურმე, სხვათა შორის ივანე ჩადუნელს—4 თვით დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ მხოლოდ ივანე ჩადუნელის შესახებ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ კავკასიის საბეითალო ნაწილის მმართველის ბ-ნ რემერის აზრით, ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირი ჯერ კიდევ არ მოსპობილა და საეჭვოა, რომ იგი მომავალ საიუბილეო გამოფენამდის მოისპოს. ამიტომ სამეურნეო სამინისტროს დეპარტამენტი შეეკითხებია კავკასიის რწმუნებულს, რამდენად საჭიროა საქონლის მორეკა ტფილისში გამოფენისათვის და რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ გამოფენის დროს საქონლის ჭირი არ გავრცელდეს.

⁂ კვირას, 4 მარტს, ტფილისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის დარბაზში მიკოლოგმა ნ. ნ. სპეშნევმა მეორე ლექცია წაიკითხა. პირველ ლექციაზედ, 25 თებერვალს, ბ-ნმა სპეშნევმა გააცნო დამსწრეთ მიკროსკოპის ხმარება მეურნეობის საქმეში, ხოლო მე-2 ლექციაში სოკოს ავადმყოფობანი და საზოგადოდ სოკოების მოშენება. პირველ ლექციას დაესწრო 16 კაცი, მეორეს—17. ლექციებს სპეშნევი წაიკითხავს კვირაობით 1 საათიდგან 3 საათამდე, სახელმწიფო ქონებათა გამგეობის დარბაზში; ყველას უფასოდ შეუძლიან შესვლა.

⁂ ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტი საჭირო ცნობებსა ჰკრებს ქალაქ ტფილისის ვა-

ფელეტონი

ერი და მამული

2. დედა-აზრი მამულისა

რენანის „რა არის ერის“ გამო
შარლ ბიგოსი
(შემდეგი *)

აი კარგად დაყენებული დასავალი წერტილი. ერი ორგანიზმოა, პოლიტიკური ორგანიზმოც. ერი არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადამიანნი შეკუმშულან და საკმარისად ეკვრიან ერთმანერთს, რომ იცხოვრონ და განსახონ კაცთა კრებულთა შორის მეომარი კრებული, საყოველთაოდ შეიარაღებული თავს დასასხმელად და თავის დასაცველად. ორი საკითხავი აღიძრება და წარმოგვიდგება. როგორ განისახვიან ეს პოლიტიკურნი შეკრებულებანი? რა დამარღვეველი მიზეზი ემუქრება მათ და რა საშუალებით შეიძლება კაცი ებრძოლოს იმ დამარღვეველ მიზეზებს? რენანი პირველ ამ სარკვევთაგანს მხოლოდ შემთხვევით შეეხო; მეორე არც-კი გადუფურჩქნავს; ეს არის, მგონია, მისი ამდენ კერძოვანის ჩინებულის ეტიუდის სისუსტე; ეს არის—სიტყვისათვის მასთან უკაცრავად—მისი ანალიზის ნაკლულევანება.

როგორ განისახვის ერი? არც ის არის ნაჩვენები, თუ ერის შედგენა ყოველ კაცთა მოდგმას შეუძლიან, არც ის, თუ რომელს შეუძლიან მისი განვითარების ყოველ ხანში. შეგვიძლიან, მაგალითად, ვიკითხოთ, თუ ყოფილა ოდესმე ერი ჩრდილოეთ ამერიკის ინდოელ ტომთა შორის, თუ ოდესმე დამყარდება ერი არაბეთის ანუ ჩრდილოეთ აფრიკის მოხეტიალე ტომთა შორის? ზოგიერთ მოდგმათ შეიძლეს ერადის გრძნობის მოპოვება, მაგრამ პოლიტიკურად უფრო ნიჭიერის მოდგმის გავლენით, რომელიც საფუარად გამოადგათ, რომელმაც მისცა მათ, ასე ვთქვათ, კადრი, სადაც ჯარი სრულიად გაიმართა ცოტ-ცოტად და მიიღო ის ძალა, რომლის შეძენაც შეეძლო, მაგრამ იქამდე მარტო ვერ ამაღლდებოდა. ინგლისში, როგორც სჩანს, ნორმანთა მიერ დაპყრობით რაღაც ამნაირადვე უნდა მომხდარიყო. ეს რთული, ძნელი შესასწავლი საგანია, მაგრამ მისი შესწავლა, შესაძლოა, საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგეს ფსიხოლოგიურის მხედველობის წერტილით. ამის ჩვენებაც გვეყოფა. ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ.

ერნი ერთგვარად როდი განისახვიან. არაფერია ისე სხვა-და სხვანაირი, როგორც ცხოვრება და ფილოსოფიურის გონების ერთი მძიმე შეცდომათაგანია სურვილი აქვემდებაროს ერთსა და იმავე სახეს მისი ნაირ-ნაირი გამომჩენებლობა. თუ ერი ყოველთვის პოლიტიკური ორგანიზმოა, საკმაოდ განსხვავებულნი არიან ის გარემოებანი, ამ ორგანიზმის წარმოშობა რომ შეუძლიათ. ორის უმთავრესის ჩვენებას ვიკმარებთ.

საქმეს რომ დავხედოთ, კაცობრიობამ ორი სახელმწიფო იცოდა, ერთმანერთის სრულიად მოპირდაპირე: ერთი ის, რასაც შეგვიძლია ვერ-შემგნებელი სახელმწიფო ვუწოდოთ, ხოლო მეორე ის, რასაც შეგვიძლია შემგნებელი სახელმწიფო ვუწოდოთ. ამ ორ უკიდურეს სიტყვათა შორის ათასი აჩრდილი ბინადრობს. პირველ ამ სახელმწიფოთაგანში ინდივიდუუმი თავისს თავს არ აძლევს არც თავისის სიმართლის, არც თავისის ღირსების ანგარიშს; პირუტყვის ცოტაოდენ უმეტესია და კმაყოფილიც არი. მის სურვილთა ცისკიდური არ გასცილდება მის პირველ საჭიროებას, მის ლიტონ გრძნობას. თავისს თავსა, პირად სიამოვნებასა და ოჯახს გარდა თითქმის ვერაფერსა ჰხედავს. მეორე სახელმწიფოში, პირიქით, იგი, თავისს თავსა, ოჯახს გარდა, ჰხედავს უფრო გავრცელებულ კაცთა ოჯახსა, რომელსაც ეკუთვნის, რომლისაც ყველა წევრნი ჰსურს იყვნენ და დარჩნენ შეერთებულნი. როგორც პირველში, ისე მეორე სახელმწიფოშიაც ერი შეიძლება დამყარდეს, მაგრამ პირველ შემთხვევაში ინდივიდუუმი ერს ექვემდებარება; მეორეში-კი ერს შეიქმს.

არც ერთის, არც მეორის ამ განსახულების მაგალითი ცოტა არ არის ისტორიაში. ცნობილ ისტორიულ ხანთა განმავლობაში სწორედ პირველი ამ განსახულებათაგანი ასწრებს. ძლიერ საეჭვოა, ძველს აზიაში, მაგალითად, ინდივიდუუმს ოდესმე დაეპირდაპირებინოს დამპყრობელისთვის დიდი წინააღმდეგობა, გრძნობაც რასოდეს ყოფილა ძლიერი. მე მგონია, რომ იმავე ხალხთ რიგ-რიგად მიუღიათ თავიანთი ხვედრი დაჰკუთვნებოდნენ რიგ-რიგად ეგვიპტელ, ასურელ, სპარსელ ბატონებსა. სხვის მიერ ბრძანებას და სხვისთვის სამსახურს მიჩვეულნი არაღ აგდებდნენ, თუ ვინ იყო მბრძანებელი და სად იყო მისის საბრძანებლის ტახტი. თუ ამ სხვა და სხვა საბრძანებელთა ვერ შეითვისტომეს დაპყრობილი პროვინციები, თუ მათ ქვეშევრდომები ჰყავდათ და არა მოქალაქენი, თუ ვერ გამოიყენეს ბატონობა, რომ ყოველგან საერთო სული დაებადებინათ, შეცდომა თითონ მათ აწევს, და არა ხალხთ. უძლიერესის სიმართლეს მაშინ ადვილად იწყნარებდნენ, როგორც უმაღლესს სიმართლეს და ახალი ბატონი დგებოდა ისეთი ბატონი, რომლისაც მორჩილ უნდა ყოფილიყვნენ იმავე ხარისხით, რა ხარისხითაც წინანდელ ბატონს აღიარებდენ. შეიძლება ითქვას, რომ კაცთა ასეთ მდგომარეობაში დაპყრობა სჯულიერი საქმეა. იგი არავის შემგნებელობას არ აღაშფოთებს, არცა შემოიმწყრალებს; იგი არავის მოწინააღმდეგობას არ აღძრავს. ჩერქეზის ქალი, რომელიც მშობლებს მიუყიდნიათ რომელისამე ვაჭრისთვის, კონსტანტინეპოლის ანუ სმირნის ბაზარში, აღუშფოთებელი და წინააღუდგომელი მიჰყავთ; იგი გაზრდილა იმ აზრით, რომ ნასყიდი და გასყიდული ყოფილიყო; იგი შედის ჰარამხანაში უდრტვინველი და გამზადებული, რათა შეიყვაროს ფაშა და ფადიშა, რომლის ხარჯითაც მისი

---

*) იხ. „ივერია“ № 47.

ქართა და მრეწველთა სრულის სიის შესადგენად. ვაჭართა და მრეწველთ უნდა წარუდგინონ შემდეგი ცნობები: სახელი, მამის სახელი, გვარი, ხელობა, სად მდებარეობს ქარხანა, რა მოწმობებით და საბუთებით ვაჭრობენ, რაოდენ საქონელს ამზადებენ, რამდენი მანქანა აქვთ, რამდენი მუშა ჰყავთ და სხვა.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც გადადებულ იქმნება კავკასიის მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის შესაწევრად ქალაქის საშუალებიდგან 10,000 მ. და აგრეთვე 5,000 მან. გამოფენაზედ ქალაქის საკუთარის პავილიონის გასამართავად; ეს დადგენილება ამ დღეებში გარდაეცა საბჭოს საფინანსო კომისიას თვისის აზრის გამოსათქმელად, თუ რამდენად შეუძლიან ქალაქმა დღევანდელს მდგომარეობაში იკისროს ამ შესაწევრის გაღება. ეს საგანი განსახილველად ქალაქის საბჭოს წარედგინება ორშაბათს, 12 მარტს.

⁂ სამშაბათს, 6 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა ცნობილი საქმე ნიკოლოზ, გედევან და სოლომონ ორჯონიკიძეებისა, პავლე კონდრატიევისა და სამსონ შოშიტაიშვილისა, რომელთაც, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ბრალდებოდათ 1898 წელს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან იგდირის ხაზინაში გაგზავნილ 50,000 მან. მოპარვა. შარშან ოქტომბერში ტფილისის ოლქის სასამართლომ, დამნაშავედ იცნო რა ბრალდებულნი, გარდაუწყვიტა ნიკოლოზ, სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეებს ყოველივე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ნიკოლოზსა და სოლომონს ენისეის გუბერნიაში, ხოლო გედევანს ტომსკის გუბერნიაში გარდასახლება; სამსონ შოშიტაიშვილს პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა და კონდრატიევს 1 წლით ციხეში დაპატიმრება. სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეებმა და სამსონ შოშიტაიშვილმა ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივრეს ტფილისის სამოსამართლო პალატაში. პალატამ დამნაშავედ იცნო სამნივენი აღნიშნულს ბრალდებაში და გარდაუწყვიტა ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა სოლომონს 3 წლით, გედევანს ერთისა და ნახევარის წლის ვადით, ხოლო სამსონ შოშიტაიშვილს ერთის წლითა და 4 თვით ციხეში დაპატიმრება.

⁂ სამშაბათს, 6 მარტს, ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიაში იყო ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ალიშევსკი, სადაც მას წარუდგნენ ტფილისის პოლიციის მოხელენი.

⁂ როგორც სადგურ ხაშურიდგან გვატყობინებენ, 6 მარტს, დილის 6 საათზედ, მე-175 ვერსტზედ გამსკდარა ნავთის მილი და ბევრი ნავთი დაღვრილა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ლაპარაკი აღუძრავთ ს. ფასანაურში არაგვზედ გადებულ ხიდის შეკეთებისა და უკედ მოწყობის შესახებ. ამ ხიდის შესაკეთებლად საჭირო ხარჯი ადგილობრივ ერობის თანხიდგან იქმნება გადადებული.

⁂ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ნება დართო ტფილისის ქალაქის გამგეობას გააკეთოს რკინის ხიდი ლიანდაგზედ ნავთლუხსა და ლოტკის გორას შორის.

⁂ სამეურნეო სამინისტროს დეპარტამენტს 300 მან. გადაუდვია იმ ხარჯისათვის, რომელსაც კავკასიაში საცდელ ჩაის პლანტაციების მოწყობა მოითხოვს.

⁂ 3 მარტს ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიას სხდომა ჰქონდა. კომისიამ მოისმინა თავისს წევრების მიერ წარგენილი საჩივრები ცხენის რკინის გზაზედ მომხდარ უწესოებათა შესახებ. კომისიამ დაადგინა, მოსთხოვოს უსახელო საზოგადოების დირექტორს ბ-ნ რობის ამ საჩივრების შესახებ განმარტებანი.

⁂ როგორც შევიტყეთ, ამ დღეებში პარიჟიდგან დაბრუნებულს ახალგაზრდა ნიჭიერს მხატვარს ალ. მრევლიშვილს განზრახვა თურმე აქვს სამხატვრო სახელოსნო გახსნას ტფილისში და მოწაფეებიც აიყვანოს.

იმედია, ჩვენი ახალგაზრდები, რომელთაც მხატვრობის შესწავლა ჰსურთ, მრევლიშვილის ასეთს განზრახვას დიდის მადლობითა და თანაგრძნობით შეეგებებიან.

⁂ სოფელი ქვემო-ბია. განსვენებულის პოეტის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად 25 თებერვალს პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. პანაშვიდს დიდძალი ქალი და კაცი დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ პოეტის პატივსაცემლად მისი ლექსები იქმნა წაკითხული.

⁂ ს. ტობანიერი (ქუთ. მაზ.). ძვირფასის მოხუცისა და დაუღალავის მშრომელის პოეტის თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის გარდაცვალებამ მეტად შეგვაწუხა. ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლის დარბაზში მასწავლებელ-მოსწავლეებმა გარეშე ხალხის თანადასწრებით განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდავიხადეთ. გთხოვთ, ჩვენი ღრმა მწუხარება ძვირფასის დანაკარგისა გამო პოეტის ნათესავებს გამოუცხადოთ.

ზედამხედველი სასწავლებლისა ვლ. ნაცვლიშვილი, მასწავლებელნი: მღვდელი ა. მამფორია, ა. ლორთქიფანიძე და ვ. ქუთათელაძე.

⁂ ს. ძველი-გაგაზი. კვირას, 25 თებერვალს, ჩვენის საყვარელ პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდავიხადეთ. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ წარსულს წელს დაიბეჭდა „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, ისტორიული მოთხრობა ბ-ნ იაკობ ს. გოგებაშვილისა, რომლის წმიდა შემოსავალი დანიშნული იყო მისამატებლად იმ ფულისა, რომელიც იკრიბება მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებლად. ეს შემოსავალი, სულ ორი თუმანი, წიგნაკის ავტორს უკვე გაუგზავნია კომიტეტის თავმჯდომარის ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონისათვის.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგის მცხოვრებს სიმონ ბენაშვილს (38 წ.) 1898 წლის სამს დეკემბერს გაულახავს თავისი დედა ნინო ბენაშვილისა. ამ დანაშაულობისათვის ოლქის სასამართლოს გარდაუწყვეტია ბენაშვილისათვის ერთ-ნახევარის თვით ციხეში დაპატიმრება. ტფილისის სამოსამართლო პალატამ, განიხილა-რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ბენაშვილი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

⁂ ბათუმი: ქუთაისურ ქართულ დრამატიულ დასის წარმოდგენები ქ-ნ ნინო ჩხეიძის ბენეფისით დასრულდა 2 მარტს. წარმოდგენილი იყო კარეევის დრამა „უბედური ნაბიჯი“, თარგმნილი შალვა დადიანის მიერ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ქ-ნნი ჩხეიძე, გვეტაძე, ბ-ნი მესხიშვილი და გუნია მრავალ გზის ტაშით კვრით დააჯილდოვეს. თეატრი თითქმის სავსე იყო საზოგადოებით. ქ-ნს ჩხეიძეს მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიართვეს და, სხვათა შორის, 100 მანეთამდე ფულადაც.

ბ-ნის მესხიშვილის დასი აქედგან ოზურგეთში აპირებს წასვლას. კარგი იქნებოდა სოხუმსა და ზუგდიდშიაც შეივლიდნენ.

⁂ სადგურ მიუსუსლიდგან გვატყობინებენ, რომ 6 მარტს საფოსტო მატარებელში უცბად გარდაიცვალა მგზავრი აკოფ ჯალალოვიო.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ № 42-ში დაბეჭდილი იყო „წერილი რედაქციის მიმართ და ანგარიში ხონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა“, რომელშიაც მე-5 სვეტში, მე-35 სტრიქონში შეცდომით ნაჩვენებია: „გარდამავალი—883 მან. 4 კ.“ უნდა იყოს: „გარდამავალი—883 მან. 42 კ.“ წერილს მოწერილი აქვს მმართველი ამხანაგობისა სვიმონ ქუთათელაძე; უნდა იყოს: „მმართველი ამხანაგობისა ევგენი ქუთათელაძე“.

◆

წერილი ქართლიდგან

—

შემთხვევისა თუ განგების ბრალია, ამის გამოკვლევას არ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რომ მეოცე საუკუნე დაიწყო დიდის ისტორიულის ამბით, რომელიც, უეჭველია, ღრმად ჩაებეჭდება და ჩაექსოვება ჩვენის ერის ხსოვნა-მეხსიერებას. ამ სახით მეოცე საუკუნე და ახალი ისტორიული ამბავი მჭიდროდ და განუყრელად იქნება შეკავშირებული და როდესაც ერთს ახსენებენ, უსათუოდ იქ მეორესაც გაიხსენებენ. ისტორიული მოვლენა, რომლის გამო ჩვენ გვსურს მცირედად ვესაუბროთ მკითხველს, გახლავთ ამ წლის დასაწყისიდგან შემოღებული გარდასახადი, გაწერილი მამულზედა.

მთელს ქართლს, დიდსა და პატარას, განურჩევლად წოდებისა, პირზედ ეს ახალი ცვლილება აკერია. ყველა მის გამო ჰბჭობს, ჰფიქრობს, ჰბაასობს და სცდილობს გაითვალისწინოს ბნელით სავსე მომავალი. შუაგულ ქართლში დავიბადე, იქ აღვიზარდე და დავბერდი და არ მინახავს ასეთი გამოფხიზლება, აღელვება და ინტერესი საერთო საქმისა, როგორსაც ეხლა ვხედავ. ალბად ყველას გულში რაღამაც ძლიერად უკბინა, რომ ასე ალაპარაკდნენ, თორემ ხარჯის მომატება წინადაც გვიხილავს, მაგრამ ასე გულფიცხად კი არავის ყურადღება არ მიუპყრია გადასახადისათვის, როგორც ეხლა.

საბუთიცა აქვთ ამ გვარის განცხარებისა. ბევრი ალღოს აღებით ჰგრძნობს, რომ დღეიდგან სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, ახალი ურთიერთობა უნდა დამყარდეს წოდებათა შორის და ვინ იცის ეს გაერთიანება, გათანასწორება ვის რას მოუტანსო. ზოგიერთნი, ვისაც შორს გამჭვრეტელობითი ნიჭი ძლიერი აქვს, ან ვისაც გონება სწავლა-განათლებით დაუმშვენებია, იმასაც ამბობენ, რომ დღეიდგან მთა და ბარი გასწორდაო. მართლაც, დღევანდლამდე კეთილ-შობილობის უპირველეს ნიშნად ითვლებოდა ხარჯისაგან თავისუფლობა. აზნაური ის

პირადობა საჭურისს შეუძენია. თუ, ბედად, კარგს მდგომარეობაში ჩავარდა, თავისს ბედს ჰლოცულობს.

შუა საუკუნეებშიაც შევნიშნავთ ამის მსგავსს ფაქტს. მიწას მიკრული მონა, მისის მრჩენელის ადგილ-მამულით გაყიდული ერთის ბატონისაგან მეორესთან გადასვლას არ იუცხოვებდა. თუ მისი გუშინდელი ბატონი და დღევანდელი ბატონი ბრძოლას გამოუდგებოდნენ, იგივე მოვალეობა უბრძანებდა შებრძოლებოდა იმას, რომლის მფარველადაც წინადღით იარაღი ჰქონდა აღებული. იგივე კანონი, რომელიც მოხარკეთ ედო, თითონ მებატონეთაც ედო ფეოდალობრივ მოვალეობათა იერარქიაში. ღალატობა ბატონის მიტევებას ჰნიშნავდა. ქორწილი, პირობა ადამიანს ერთის უფლებისაგან მეორეს ჰგვრიდა. არავის ფიქრადაც არ მოსვლია, საცილობელად გაეხადა ის სიმართლენი, რომელნიც განასჯულიერებდა იმ პირობას.

ასეთ ზნეობრივ მდგომარეობაში, ეროვნებას სრულიად შეუძლია დაპყრობის მოქმედებიდგან გამოვიდეს. საფრანგეთის ეროვნებას, დღევანდლამდე ისე მტკიცეს და ისე ძლიერ დამყარებულს, სხვა დასაწყისი როდი ჰქონია. ორი რამეა მხოლოდ საჭირო: ერთი, რომ დამპყრობელი არა ჰკმარობდეს დამპყრობელობას, არამედ შეაყვაროს თავისი ხელმწიფება, სულთა დაკავშირებას ისევე კარგად ისწრაფვიდეს, როგორც სურვილთა დამორჩილებას, რომ დაწესებულებათა, სჯულთა ერთობით, სამართლიანობით, საზოგადო ინტერესით ყველას ერთსა და იმავე გრძნობას შთაბერვიდეს, ისე რომ ოჯახის უკანასკნელ დაბადებულთაც ძმების ხარისხი ჰქონდეთ. მეორე პირობა ის არის, რომ დაპყრობა ნელ-ნელა მოხდეს, რათა უკვე მყოფს ერთობას დიდძალმა მიწის ჩამორთმევამ უსიამოვნება არ მიაყენოს; ისიც იმიტომ უნდა გახანგრძლივდეს, რომ ახალის ელემენტების გაერთგვარება დასრულდეს. ერადობა შეიძლება გადიდდეს, მაგრამ თოვლის კუმშის დაგვარად. ყოველი ქვეყანა, რომელიც ერთობ ჩქარა იზრდება, ანაზდეულადაც გასწირავს მას, რისგანაც ვერ სარგებლობს. ცენტრალის ხელმწიფების გონივრული მეცადინეობა მაშინ წარუმართებელი რჩება; პოლიტიკური ერთობა უფრო მოჩინარია, ვიდრე ნამდვილი. გაცენტრალიზების საქმეც მოუხერხებელი ხდება. ავტონომიურნი მისწრაფებანი აქა იქ მოუსვენარის ძალით აღიძვრიან. მაშინ დაინახვენ, რომ მხოლოდ სახელმწიფო შეუქმნიათ იქ, სადაც ერის დამყარებას ჰფიქრობდნენ. ასეთი იყო კარლო დიდის საბრძანებლის შემთხვევა. თუ საფრანგეთის ერთობა ისე ძლიერია, მისი დავალებულია, რომ საუკუნეთა ნამუშევარია. ჩვენ კაპეტიან მეფეთა პოლიტიკა, იმდენის წაღმართობისა და უკუღმართობის ისე საკვირველად ამტანი, ამ მხრივ შესასწავლია. საფრანგეთის მეფე ხდება ყველასთვის მოსამართლე და მფარველი, ყველასთვის საერთო კავშირი, მამულის ნიშანი, ცხოველი სურათი ღვთაებრიობისა, რომლის წარმომადგენლობას თითონ ამბობდა, ყველას მისკენ ჰქონდა უნებურად გაშვერილი ხელი; მისი უდიდებულესობა ყველაფერს დაჰნათებდა. განსაკუთრებით გასაოცარია ის საქმე, ლიუდოვიკო XI-ს რომ მიეცა სამეფოის ყველა პროვინციებისათვის ერთი და იგივე დაწესებულება, რომ უზრუნველ ეყო განუწყვეტელი ზიარ-ყოფა თუ ნივთიერი, თუ ზნეობრივი ცენტრით კიდეთამდე.

საფრანგეთის ერთობა ხან წინ იწევს და ხან უკან, და მისი ბრწყინვალე გამარჯვება ერთ დღეს ერთობ მოსწრაფებული ხანდახან საშინელი ხდება მეორე დღეს, და მთელი დაპყრობილი პროვინცია ერთობ ადრე და ერთობ ჩქარა მყისვე იკარგება. მაგრამ ხელს მაშინვე გამოიღებენ ხოლმე, უფრო კეთილმისათვალავ პირობათა შორის, უკეთესის საქმის აღსრულებით: ბოლოსაც კეთილი მოსდევს. პოლიტიკური და ზნეობრივი შეთვისტომება მაშინვე მოჰყვება მიწა-წყალის ჩამორთმევის ფაქტსა. ერთი ჩვენი პროვინციათაგანი არ მოიპოვება ისეთი, რომ საფრანგეთის მამულთან არა ყოფილიყო შემოერთებული სისხლის დაღვრის საფასით, ხან კი ნაკლებ სინიდისიერის მანქანებითაც, რომელიც ჩამოჰგავს უფრო ბინძურ ბაზრობას ანუ რამე ხაფანგსა: ამასობაში ყველანი ამ მამულის ცხოველნი წევრნი შეიქმნენ, ყველას დაავიწყდა დაღვრილი სისხლი და ძალდატანება ანუ შემოერთების ჟამის სივერაგე; ყველას უცხოვრია და სცხოვრობს საერთო სულით, მიუღიათ იმავე ხარისხით მემკვიდრეობა და საერთო დიდებაც და ის მწუხარება, რომელიც, როგორც რენანი სამართლიანად ამბობს, უფრო დამაახლოვებელია, ვიდრე სიხარული.

როდესაც რომელიმე ერადობა ამისთანა პირობათა შორის განისახვის, ცხადია, რომ იმას არც მოდგმის ერთობა ამყარებს, არც ფიზიკური გეოგრაფია, არც ენა, არც სარწმუნოება, არც ნივთიერ ინტერესთა ზოგადობა. პოლიტიკურ მოთავეთა მოქმედება, რასაკვირველია, საუპირატესო ფაქტორია. უეჭველია, კარგად მოქცევიან XII საუკუნის დოფინეს მცხოვრებელს და ბრეტანისასაც, თუ მათთვის წინადვე უთქვამთ, რომ ერთ დღეს მათ შვილი-შვილებს ერთი და იგივე მამული ექმნებათო. მაგრამ, მგონია, რომ რენანს ძლიერ იაფად დაუფასებია ეს სხვა-და-სხვა ელემენტები. ადამიანები შეგროვდებიან მხოლოდ მის სარგებლობით, რაც იმათ აახლოვებს, რაც მათთვის საერთოა, საერთო სულს ჩაუდგამს. რენანი მოქცეულა ცოტა ფიზიოლოგიისამებრ, რომელიც იტყოდა: „სიცოცხლე არც სტომაქია, არც გული, არც ტვინიო“. უეჭველია, არა, მაგრამ ყველა კი სიცოცხლის ორგანოებს შეადგენს; იმათი თანხმობით მჩქეფარებს.

(შემდეგი იქნება).

იყო, ვინც არავითარ ბეგარასა და ხარჯს არ ეწეოდა. ეხლა კი სულ სხვა იქნება. ხარჯი იმან უნდა გასწიოს, ვისაც საკუთარი მამული აქვს, მამული კი, განსაკუთრებით ჩვენში, უფრო თავად აზნაურობასა აქვს. ამ სახით ის წოდება, რომელიც გუშინ თავისუფალი იყო ხარჯისაგან, დღეს პირველ მოხარკედა ხდება. ეს-კი ისეთი ევოლიუციაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ადვილად ვერ გავითვალისწინებთ, რაც უნდა გამჭრიახი გონება და ალმასივით მჭრელი ფანტაზია გვქონდეს, მისს ყოველგვარ შედეგსა.

უპირველეს ყოვლისა აღნიშნული ევოლიუცია გამოიწვევს დიდის მამულების დაკნინებას. აბა როგორ მივხვდეთ, ვის ჩაუვარდება ხელში დაკუწული მამული, ვინ გახდება მისი მომვლელ-პატრონი, ჩვენივე გლეხკაცი, თუ ვინმე გადამთიელი? ამას გარდა, ისიც გამოსაცნობია, რა მოუვა კეთილშობილ წოდებას, იმ წოდებას, რომელიც, ავად იყო თუ კარგად, აქამდე სათავეში უდგა ჩვენს ცხოვრებას, რა როლს დაიჭერს შემდეგში ის წოდება, რომელიც მარტო ოდენ მამულითა და სამსახურითა სცხოვრობდა. ყველამ იცის, რომ უმამულო და უსამსახურო აზნაური თვისს განსაკუთრებულ ფერსა და ფერსა ჰკარგავს და ისეთნაირადვე იკარგება და იხსნება ერში, როგორც ხსნილი ზღვაში.

ამნაირადვე ცხადად ვერ წარმოუდგენია მომავალი ბედი გლეხ-კაცობას. ვისაც საკუთარი მამული არა აქვს და მაინც საკომლოს იხდიდა, ის, რაღა თქმა უნდა, დიდს შეღავათს იგრძნობს. ასეთს უმამულო კაცს ერობაშიც აღარ გადახდება და ოხუნჯობის კილო რომ შეეფერებოდეს ამ საგანს, ვიტყვით, რომ დღეიდგან ასეთი ვაჟბატონი ნამდვილი აზნაურიშვილი გახდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ უმამულოდ ხომ ვერც ის გასძლებს, ვისმე მამულის პატრონს უნდა სთხოვოს საღალოდ მიწა და სწორედ აქ მოხდება ტვირთის გადატანა ერთის კიდიდგან მეორისაზედ. მამულის პატრონი ღალას წაუმატებს, რამდენადაც შესაძლებელია, და ამ სახით ტვირთის სიმწვავეს თუ ვერ გაინახევრებს, გაამესამედებს მაინც.

ბევრმა განვითარებულმა მემამულემ გულახდილად მიამბო, რომ დედა-აზრი რეფორმისა, ესე იგი ხარჯის გაწერა მამულზედ სრულიად სამართლიანია, მაგრამ ჩვენთვის ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, რადგან არ შეეფერება აწინდელ მეურნეობის გარემოებასო. ხვნა-თესვა და საზოგადოდ მამულის მოვლა-პატრონობა ჯერ ისევ პირვანდელ ვითარებაშია ჩაყენებული, დაბეჯითებით არ ვიცით, ვის რა გვეკუთვნის, რა ღირსებისა და ხარისხის მამულია, გამიჯვნა ჯერ არ დამთავრებულა, მონაწილეები არ გაშორებულან ერთმანეთს, გზა-კვალი და ბაზარი არ მოეპოვება ჩვენს ნაწარმოებს, მამულის მოვლა ძველებურია მოურავების დახმარებით, დავიდარაბა არ დასრულებულა და სადაც კი ყველა ეს მოისპო და გათავდა, იქაც მამაპაპეული ვალი გვახრჩობს და მაჯლაჯუნასავით სულს გვიხუთავსო. მართალია, ბევრმა ვალი ტყუილუბრალოდ აიღო და ბანკიდგან გამოტანილი ფული უხეიროდ დახარჯა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ზოგმა ვალი შვილების აღსაზრდელად აიღო. ასეა თუ ისე, უტყუარ საბუთად უნდა იყვეს მიჩნეული, რომ ორი მესამედი საბატონო მამულისა დავალიანებულია და მომეტებული შემოსავლისა პრიკაზისა, სადგილ-მამულო და სახელმწიფო ბანკის ვალის სარგებელს უნდება. ასეთი გარემოება მეტის-მეტად შეაფერხებს და ხელს შეუშლის ახალს ცვლილებასა და მის განხორციელებას.

მემამულეთა გაჭირვებულის მდგომარეობის დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს. 1. მამული შუაგულ ქართლშია, 88 დეს. სარწყავი, სამს წელიწადში ერთხელ იხვნის, რადგან წყლისაგან გარეცხილია. ბანკის ვალი აძევს 2,200 მ., წლიური შესატანი 121 მან., ახალი სახელმწიფო გარდასახადი—11 მან. 29 კაპ., საერო ხარჯი 50 მ. 81 კ., მირაბის სასარგებლოდ 5 მ. 28 კ., (დესეტინაზედ 6 კ.), 66 კ. სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს სასარგებლოდ; 4 მ. 40 კ. გამიჯვნისა, სულ 197 მან. 64 კ., შემოსავალი აქვს მამულს წელიწადში: 50 კოდი პური, სიმინდი და ფეტვი. კოდი რომ 2 მ. 50 კ. ვიანგარიშოთ, გამოვა შემოსავალი 125 მ. მაშასადამე, მამულის პატრონს დეფიციტი ანუ დანაკლისი ექმნება—72 მ. 64 კ., ცხადია, რომ ასეთს მამულზედ ეხლავე ხელი უნდა აიღოს პატრონმა და ღვთის ანაბარად დასტოვოს.

II. იქვე მეორე ნაჭერი $140^{1}/_{4}$ დეს. აქედგან 31 დეს. უვარგისია, დარჩა 111 დეს. სახელმწიფო გარდასახადი 18 მ. 94 კ., საერო—85 მ. 23 კ., გამიჯვნისა 7 მან. (20 წლის განმავლობაში); 7 მან გეგმისა ერთხნობით; შესატანი სახელმწიფო ბანკში—297 მანეთი, მირაბს—6 მ. 96 კ.; 1 მ. 50 კ. დეპუტატთა საკრებულოს; სულ—423 მ. 18 კ. შემოსავალი მამულისა: 155 კოდი, ანუ 387 მან. 50 კ., დანაკლისი—35 მ. 68 კაპ.

III. იქვე 48 დეს. 4 მან. 61 კ. სახელმწიფო გარდასახადი, 20 მ. 74 კ. საერო შესატანი; 81 მან. სარგებელი, შესატანი სახელმწ. ბანკში; 2 მ. 40 კ. გამიჯვნისა; 2 მ. 40 კ. გეგმისა, 2 მ. 88 კ. მირაბს; 40 კ. დეპუტატთა საკრებულოს. სულ გასავალი 114 მან. 53 კ. მამული იჯარითაა გაცემული ცხრა წლით, წელიწადში 90 მან. მაშასადამე, ეს ნაჭერი მაინც პატრონმა უნდა გადააგდოს, რადგან დანაკლისი ექმნება 24 მან. 53 კ.

ჩვენ აქ არ ვიანგარიშეთ სხვა-დასხვა წვრილმანი ხარჯი, მოურავისა, მოჯამაგირეებისა. ღალის აკრეფის დროს მარცვალი იბნევა, ფუჭდება, ასე რომ ხშირად აღებულ ას კოდიდგან ძლივს 90 კოდს გაჰყიდი. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ზოგჯერ მოუსავლობაა, ზოგჯერ სეტყვა ჩარეგვავს მოსავალს და მაშინ დანაკლისი ერთი ათად იმატებს.

აქ მოყვანილი ცნობები, ჩვენის აზრით, ყველასათვის საყურადღებოა, როგორც ხარჯის მძლეველთა, აგრეთვე მთავრობისათვისაც, და ამისათვის იმედი გვაქვს, რომ შეუნიშნავად არ დარჩება და რაიმე წამალს გამოუძებნიან.

არავინ

* * *

ქალაქის საბჭო.

5 მარტი.

საბჭომ ამ სხდომაზედ განაგრძო ქალაქის 1901 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა. საბჭომ დაადგინა 300 მან. შემწეობა აღმოეჩინოს „იასლის“ საზოგადოებას. გამგეობა თხოულობდა 20,400 მან. ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად და შესაკეთებლად. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება ქუჩების მოკირწყვლის შესახებ. შემდეგ წაკითხულ იქმნა წინადადება ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბ-ნ შარიგინისა, რომელიც თხოულობდა ოლქის სასამართლოს კანცელარიისათვის 300 მან. შემწეობას. ზოგიერთი ხმოსანი და აგრეთვე გამგეობის წევრი ხოსროევი წინააღმდეგნი იყვნენ ამისი: ოლქის სასამართლო სახაზინო დაწესებულებაა და ქალაქმა რად უნდა აღმოუჩინოს შემწეობაო. საბჭომ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ბ-ნ შარიგინის თხოვნა. ქალაქის ინჟინერის თანამდებობის დაწესების შესახებ ხმოსანმა ბაბოვმა განაცხადა, რომ საჭიროა დაარსდეს სატეხნიკო საბჭო, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ქალაქის ინჟინერიო. ინჟინერის ჯამაგირი ხარჯთ-აღრიცხვით 4,000 მანეთია.

ბოლოს საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა და შეუდგა დანარჩენ საქმეების განხილვას. გუბერნატორის წინადადება ქალაქის სამ საარჩევანო ნაწილად გაყოფის შესახებ იმ ცვლილებით, რა ცვლილებითაც ქალაქის საქმეთა საკრებულო თხოულობდა, უარ-ჰყო საბჭომ და ხმის უმეტესობით დაადგინა, ხმოსანთა არჩევნები ერთს საარჩევანო კრებაზედ მოახდინოს. ამას არ დაეთანხმა ხმოსანი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ქალაქის სამ საარჩევანო ნაწილად გაყოფის შესახები დადგენილება უკვე კანონიერს ძალაში შევიდაო. შემდეგ საბჭომ მოისმინა შუამდგომლობა მეეტლეთა მამასახლისისა, რომელიც თხოულობდა ცხენების გადასახადთა ვადის გადადებას. საბჭომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. დასასრულ, არჩევანი გამგეობის წევრისა, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ნაცვლად, საბჭომ გადასდო ახალ ხმოსანთა არჩევნებამდის.

რუსეთი

ამას წინად სრულიად რუსეთის რკინის გზის მკურნალთა კრება მოხდა. კრებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ შემდგარ იქმნას განსაკუთრებული სასანიტარო-სატეხნიკო კომისია. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ჰიგიენის მხრივ რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული რკინის გზის შენობისა და სადგომების აგების დროს.

— სამხედრო უწყებას დაპარაკი აღუძრავს სამხედრო სამღვდელოების პენსიის დებულებათა შეცვლის შესახებ. განზრახვა აქვთ პენსია დაუნიშნონ ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით-კი არა, როგორც ახლაა, არამედ განსაკუთრებულის „ტაბელით“. პენსია მიეცემა აგრეთვე სამხედრო საკრებულო ტაძრების მედავითნეთ, რომელნიც აქამდის არ დებულობდნენ.

— რადგანაც წლეულს აღდგომა 1-ლ აპრილს მოდის, ამისათვის სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტმა ნება დართო სახაზინო პალატებს მარტში პენსიების მიცემა დაიწყონ არსებულ ვადაზედ 15 დღით ადრე.

— ფინანსთა მინისტრის საბჭოს დარბაზში ამავე სამინისტროს სასტატისტიკო განყოფილების სხდომა დაიწყო მოსავლის სტატისტიკის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

უცხოეთი

ჩინეთი. ერთი გერმანელი ოფიცერი აღგვიწერს იმას, თუ კეტტელერის მკვლელი ენხაი როგორ იქმნა დასჯილი პეკინში. ჩინელების აზრით, ენხაი იმიტომ კი არ დასაჯეს, რომ მკვლელობა ჩაიდინა, არა,—დასაჯეს იმიტომ, რომ კეტტელერს საათი მოჰპარა. როგორც გერმანელ ოფიცრის სიტყვიდგანა სჩანს, ევროპიელებს საზოგადოდ თავი საძაგლად თურმე ეჭირათ სასჯელის დროს. როგორც-კი დანიშნულს ადგილას ეტლი მოვიდა, რომელშიაც ენხაი იჯდა, მაშინვე გარს ევროპიელები შემოეხვივნენ და ფოტოგრაფიის აპარატები მოიმარჯვეს, რომ სიკვდილით დასასჯელის სახე გადაეღოთ,—ამბობს ოფიცერი.

„მე სულ სამ-ოთხ ნაბიჯზედ ვიდექი და თავისუფლად შემეძლო სახის თითოეული გამომეტყველება ადვილად გამერჩია, შენიშნავს,—სწერს ოფიცერი. თითქოს ისრე მეჩვენა, რომ იგი თავისის ბედისა სრულიად კმაყოფილი იყო, იცინოდა და იმეორებდა, რომ: „კარგია, კარგიო!..“ როგორც ამბობენ, ენხაი დარაჯებს თურმე სულ იმას ემუდარებოდა, რომ რაც შეიძლებოდა ადრე და მალე მოესპოთ მისთვის სიცოცხლე. რამდენიმე ინგლისელმა სურათი გადიღო; ენხაი თავისის ნებით გამოჰყოფდა ხოლმე თავს და მიიხედავდა სწორედ იქით, საიდგანაც აპარატს დაუმიზნებდნენ, თითქოს თითონვე სცდილობს კარგად გამოვიდესო. ბოლოს მოვიდა ოთხი ჯალათი და ენხაი ეტლიდგან გადმოიყვანეს. ჯალათებს მაშინვე უნდოდათ ანდერძი აეგოთ და წაახოქეს კიდეც, მაგრამ სასამართლოს წარმომადგენელმა შეაყენა. ჯალათები მოჰშორდნენ, სასიკვდილოთ გამზადებული ჩაცუცქდა იქვე და თავისი ბეწვიანი კურტკა გაისწორა. ენხაი როგორღაც გაშტერებული იყურებოდა და ერთთავად იფურთხებოდა, რაც ჩინელების აუცილებელ ჩვეულებას შეადგენს; 2 საათსა და 30 წამზედ მისი აღმატებულება ფონ-დესსელი ძლივს მობრძანდა ის კი იყო, პირი იმისაკენ ვიბრუნე, რომ სალამი მიმეცა და შევხედე, რომ თან ორი ევროპიელი ქალი მოჰყვებოდა თამაშის საცქერლად. როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ეს ქალები საფრანგეთის საელჩოდგან თურმე იყვნენ. ჩემის აზრით, ამ ქალებისათვის სასჯელის ნახვა არაფერი თამაშა და საჭირო იყო. სამხედრო სასამართლოს წარმომადგენლის ბრძანებით სასიკვდილოთ გამზადებული ფეხზედ წამოაყენეს და ოქმი ისრე მოასმენინეს; შემდეგ ჯალათებს გადასცეს. თვალის დახამხამებაზედ ჯალათებმა კურტკა გაახადეს, წაახოქეს და მხრებს ზევით ტანი გაუშიშვლეს. მერმე თავზედ გამარყუჟებული თოკი მოსდეს, რომ კისერი წაეგრძელებინათ, რაიც სასჯელის დროს ჩინელებს მუდამ ჩვეულებათ აქვთ. ამის შემდეგ ჯალათის ერთმა თანაშემწემ წელს დასწია, მეორემ თოკს გასწია და ასე დაჭიმულს კისერს ჯალათმა ცული შეუმაღლა. ხალხში უცბად უნებლიედ „ოჰ“! გაისმა და ენხაის თავი გვერდზედ გადაგორდა. სასჯელის დროს ევროპის ყველა ერის წარმომადგენელთ ფოტოგრაფის აპარატები მომარჯვებინათ და გულის ფანცქალით ელოდნენ იმ წამს, როდესაც ცული აღგარდებოდა და თავი ტანს გაჰშორდებოდა. ჩინელებზედ სასჯელმა არავითარი გავლენა არ იქონია; პირ-იქით უკვირდათ, რომ ევროპიელები, ოფიცრები თუ ქალები, როგორც დიდს სანახაობაზედ, ისე თავს მიაკლავდნენ, თუმცა დასჯილი სულ უბრალო ჩინელი იყო, არა დიდის გვარისა და ხარისხის მქონე“.

— პარიჟის „New-York Her.“-სა სწერენ ვაშინგტონიდგან:

„რუსეთის ელჩმა გარდაწყვეტით განუცხადა გეის, რომ რუსეთს მანჯურიის სამუდამოდ დაპყრობა სრულიადაც არა აქვს განზრახული, თუ რომ ამას სხვა სახელმწიფონი არ აიძულებენო. მანჯურიის შესახებ ჩინელ მოხელებთან რუსეთს მხოლოდ იმისათვის აქვს მოლაპარაკება, რომ რუსეთის საზღვარი და რკინის გზა დაიცვასო. განსაკუთრებით იმეორებდა გრაფი კასსინი, რომ რუსეთს დასამალავი არა აქვს-რაო. რუსეთი დღესაც იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც წარსულის წლის აგვისტოში იყო; არავითარი ცვლილება არ მომხდარა. რუსეთს რომ მანჯურიის დაპყრობა სდომოდა, ამისი საბუთი ხელში ეჭირა, როდესაც ჩინელები რუსეთის საზღვარს დაესხნენ, მაგრამ მან ეს არ ისურვა, საბუთად არ გამოიყენა და შეერთებულ შტატებთანა და ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად ყოველივე საშუალება იღონა, რომ ჩინეთში მშვიდობიანობა და წესიერება აღედგინა როგორმე; რას ამტკიცებს ეს გარემოება, თუ არ იმას, რომ დაფარული და დამალული რუსეთს არა ჰქონია-რა, მიზნება და მითვისება აზრად არა ჰქონია. გეი კმაყოფილია თავისის ნოტით, რომელიც ჩინეთის მთავრობას წარუგზავნა. ნოტაში ნათქვამია, რომ უდროუდროო და საშიშიც კია, რომ ჩინეთი ახლავ, ვიდრე მოლაპარაკება გათავდებოდეს, კერძო პირობებით ეკვრის ზოგიერთს“.

— „Times“-სა სწერენ ნიუ იორკიდგან:

„მართალია, შეერთებულს შტატებს არა ჰსურს, რომ რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება დაარღვიოს რითიმე, მაგრამ ვერ მოუწონებია ის გარემოება, რომ რუსებს ამ ჟამად ჩინეთში მოუკალათნიათ და თითქმის ყოველივე თავიანთ სურვილზედ განაგებენო“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი.

პეტერბურგი. კრონშტადტსა, კალუგასა და ლოდზიდგან იუწყებიან, რომ პანაშვიდები იქმნა გარდახდილი გარდაცვალებულის საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლადაო.

5 მარტს გამოასვენეს საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის გვამი სერგიის ტაძრიდგან, სადაც გარდახდილ იქმნა წირვა მიტროპოლიტის ანტონის მიერ. დაესწრნენ დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე, ელჩები გერმანიისა, ავსტრიისა, დანიისა, რუმინიისა, ბელგიისა და ნიდერლანდიისა. ტაძრიდგან გვამი ნიკოლოზის სადგურზედ გაასვენეს მოსკოვში წასასვენებლად. წინ მიდიოდნენ კერძო და რეალურ სასწავლებელთა, შემდეგ გიმნაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის მოსწავლენი; კუბო გიმნაზიის სოსწავლეებს მიჰქონდათ; გზაში აუარებელი ხალხი იდგა. სადგურის ეზოში იდგნენ ქალთა სასწავლებლების მოსწავლენი. მცირე ლოცვის შემდეგ სადგურზედ, გვამი წაიღვნეს მოსკოვში, სადაც განსვენებულს დრაგომილოვის სასაფლაოზედ დაასაფლავებენ.

კონსტანტინეპოლი. სასანიტარო საბჭოს მიზეზით ატეხილ დავის გამო დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა წარუდგინეს გუშინ პორტას ერთობრივი ნოტა, რომელშიაც თხოულობენ, რომ საგენერალო ინსპექტორისა, ინსპექტორთა და მთავარ ბუჰალტერის დანიშვნა დამოკიდებული იყოს ხოლმე უმაღლეს სასანიტარო საბჭოსაგან, პორტას-კი მხოლოდ ის უფლება ჰქონდეს, რომ დაამტკიცოს მოხელეთა დანიშვნა. ელჩები ამასთან აცხადებენ, რომ თუ პორტა წინადადებას შეიწყნარებს, თანახმანი ვართ მივიღოთ ხოლმე იმისი კანდიდატები სასანიტარო ინსპექტორის თანამდებობაზედაო.

კაპშტადტი. დევეტის ჯარი სენეკალიდგან წავიდა და პატარ-პატარა რაზმებად დაიყო.

6 მარტი.

პეტერბურგი. „მთავრობის მოამბე"-ში დაბეჭდილია: „რადგანაც ცრუ ხმები გავრცელდა უწესოებათა შესახებ, რომელნიც ამ ბოლოს დროს იმპერიის ზოგიერთ ქალაქებში მოხდა, შინაგან საქმეთა მინისტრი საჭიროდ სთვლის აუწყოს ყველას შემდეგი ცნობები, ადგილობრივ მოხელეთაგან მიღებული: 19 თებერვალს პეტერბურგში, წირვისა და პარაკლისის გათავების შემდეგ, ყაზანის ტაძარში, იქ მყოფ მოსწავლე ახალგაზდობის ნაწილი, რომელსაც ეკკლესიის შესასვლელ კარებთან მდგომნიც შეუერთდნენ, შეიკრიბა ყაზანის მოედანზედ, ტაძრისა და ბაღის შუა, სვეტის წინ, ამასთან ზოგიერთმა, ბრბოში მყოფთაგანმა, მოისურვა სიტყვის წარმოთქმა. როდესაც პოლიციამ მოითხოვა, დაშლილიყვნენ, შეკრებილთ უარი განაცხადეს და ბრბოში გაისმა: „ბატონებო! ყველანი შევქუჩდეთ და მარჯვნივ წავიდეთ, ნევსკი საკენაო!" ბრბომ უსმინა ამ მოწოდებას, სიმღერით ნევსკისაკენ გადაუხვია და დაიჭირა ქუჩის ნაწილი და ტროტუარი. დაუყოვნებლივ დაბარებულმა პოლიციამ ბრბო პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ეზოსაკენ დასწია; დაშავებით ამ დროს არავინ დაშავებულა. ეზოში პოლიციამ ჩასწერა გვარები ბრბოში მყოფთა, რიცხვით 244 კაცისა, რომელთაგან სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტი აღმოჩნდა — 71, სხვა და სხვა დედათა კურსების ყურის მგდებელი — 128, სხვა ქალი — 20 და გარეშე — 25. შემდეგ ყველანი თავ-თავიანთ სახლებში გაუშვეს: იმათ შესახებ ვინც არეულობაში მონაწილეობა მიიღო, გამოძიება იქმნა დანიშნული. — იმავე დღეს ქალაქ ხარკოვში, ტაძარსა და უნივერსიტეტის ეკკლესიაში წირვის გათავების შემდეგ, როდესაც მლოცველნი გარეთ გამოდიოდნენ, დანარჩენთ მოშორდა 100 სტუდენტი უნივერსიტეტისა, სატეხნოლოგო და საზეითალო ინსტიტუტისა. ეს სტუდენტები ერთად უნივერსიტეტის შენობისაკენ გაემართნენ სიმღერით. რადგანაც პოლიციის მოთხოვნილებას არ დაემორჩილნენ და არ დაიშალნენ, მათ გარს შემოერტყა ხელად დაბარებული ასი ყაზახი, რომელთაც სტუდენტები პოლიციის გამგეობის შენობაში შეიყვანეს. ცოტა ხანს უკან მოსწავლე ახალგაზრდათა მთელი ბრბო შეიკრიბა, რომელიც სტუდენტთა განთავისუფლებას თხოულობდა. რადგანაც დაშლაზედ უარი განაცხადა ბრბომ, რომელსაც მრავალი ცნობის მოყვარეც შეუერთდა, დაპატიმრებულ იქმნენ აგრეთვე ისინიც, ვინც აქეზებდა ბრბოს უწესოების მოსახდენად. საღამოთი მოსწავლე ახალგაზდათა ბრბომ, რომელსაც კიდევ შეუერთდნენ მრავლად ცნობის-მოყვარენი, განიზრახადემონსტრაციის მოხდენა გაზ. „Южный Край"-ის რედაქციასთან, საითკენაც იგი გაემართა სიმღერითა და სტვენით, მაგრამ დაბარებული ჯარი დროით შემოერტყა გარშემო და პოლიცმეისტერის გამგეობაში შეიყვანა გვარების ჩასაწერად. ამ, უკანასკნელ, ჯგუფის გასტუმრების შემდეგ, ქუჩაში დარჩენილთ ხელახლა შეუერთდა სხვა და სხვა წოდების კაცთა ბრბო, რომელიც დრამატიულ თეატრთან ჰყვიროდა და მღეროდა. დაბარებულმა ჯარმა დასწია ბრბო მეზობელ ქუჩებისაკენ და შემდეგ გაჰფანტა. თუმცა გუბერნატორს რვა განცხადება გადაეცა დაშავების შესახებ, მაგრამ როდესაც მკურნალებმა შეამოწმეს, მხოლოდ ერთი აღმოჩნდა დაშავებული. აღწერილ უწესოებაში მონაწილეთა შესახებაც გამოძიება იქმნა დაწყობილი, ამასთან 130 დაპატიმრებულთან 24 დატოვებულ იქმნა, დანარჩენნი განთავისუფლეს. 22 სა და 23 თებერვალს მოსკოვში შუადღის 12 საათზედ, ძველ უნივერსიტეტის შენობასთან შეიკრიბნენ ჯერ უნივერსიტეტის სტუდენტები, ხოლო შემდეგ სხვა უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი, სხვა და სხვა დედათა კურსების ყურის მგდებელნი და სხვა ქალნი. პოლიციამ მოითხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ ბრბო თანდათან იზრდოდა, და ცხე ნაშუადღევის პირველ საათზედ ამ ბრბომ განდევნა დარაჯნი ეზოს კუთხიდგან, შევიდა უნივერსიტეტის ეზოში და შემდეგ, შემტვრიეს რა კარები, სამასამდე კაცი შევარდა სააქტო დარბაზში, სადაც ყრილობა მოახდინეს, და რომელზედაც იწვევდნენ ეზოსა და ქუჩაში მდგომ ამხანაგებსაც, რიცხვით აგრეთვე 300 კაცს; ამასთან ბრბო ესროდა თავმოყრილ საზოგადოებას მოწოდებებს და ამით აღელვებდა. ვერაფერი გააწყო დარიგებათ თხოვნამ როგორც პოლიციისამ ქუჩაში, აგრეთვე ინსპექციამ სააქტო დარბაზში: შეკრებილნი არ დაიშალნენ და უწესოებას თავი არ გაანებეს. ამიტომ უნივერსიტეტის ქუჩიდგანა და ეზოდგან შემოერტყნენ პოლიციელნი და შეკრებილნი მახლობელ მანეჟში წაიყვანეს. ყრილობის მონაწილენიც, უნივერსიტეტის ეზოში გამოსვლისათანავე, ასეთისავე რიგით წაიყვანეს იმავე მანეჟში, შემდეგ ჩასწერეს გვარები, რიცხვით 630 კაცისა, რომელთაგან 517 კაცი სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე აღმოჩნდა, 12 გარეშე და 101 ქალი. შეპყრობილნი მანეჟშიაც არა სცხრებოდნენ და პოლიციის მოთხოვნილებას არ ემორჩილებოდნენ. საღამოზედ ქალებს წინადადება მისცეს მანეჟიდგან შინ წასულიყვნენ; 93 ქალი წავიდა, ხოლო რვამ მოისურვა მანეჟში ღამის გათევა სხვა შეპყრობილებთან ერთად. დილით, 24 თებერვალს, შეპყრობილთაგან 52 კაცი საპყრობილეში იქმნა გაგზავნილი; ღამე 25 თებერვალს სამიჯნო ინსტიტუტის 21 მოსწავლე ინსტიტუტის მთავრობას ჩააბარეს, ხოლო დანარჩენნი, რიცხვით 463 კაცი, დას-დასად საპყრობილეში იქმნენ გაგზავნილნი. 24 თებერვალს ბრბონი, უმთავრესად მოსწავლე ახალგაზდათაგან შემდგარნი, რომელთა რიცხვიც ზოგჯერ 700 კაცამდე ადიოდა, სცდილობდნენ მანეჟში შეპყრობილებთან გამოლაპარაკებას, ამისთვის თავის მიერვე გამონტვრეულ ფანჯრებიდგან აწვდიდნენ ხმას. პოლიცია, რომელსაც 100 ყაზახიც ჰშველოდა, არა ერთხელ ანთავისუფლებდა ამ ადგილს შეკრებილთაგან. საღამოს 5 საათზედ ბრბო, დაახლოვებით 300 კაცისაგან შემდგარი, ნიკიტისა და ტვერის ბულვარისაკენ გაემართა სიმღერითა და ყვირილით, ხოლო იქიდგან გადავიდა ტვერის ქუჩაზედ, სადაც, ბრიუსოვის ვიწრო ქუჩასთან იგი პოლიციამ დასწია მახლობელის ვიწრო ქუჩისაკენ და გაჰფანტა. 25 თებერვალს, ღამის პირველ საათზედ, 100 სტუდენტისა და ქალისაგან შემდგარმა ბრბომ, რომელიც ტვერის ქუჩაზედ არ გაუშვეს, სიმღერით გაიარა პეტროვკაზედ, მაგრამ პეტროვსკის ალაყაფის კარებთან პოლიციის მიერ უკან დახეულ იქმნა. კვირას, 25 თებერვალს, სხვა და სხვა კაცთაგან შემდგარი ბრბო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი და დედათა სხვა და სხვა კურსების ყურის მგდებელნი, მთელის დღის განმავლობაში უწესოებას ახდენდა ქალაქის შუა გულ ქუჩებშიაც და სცდილობდა ტვერის ქუჩაში გასვლას; ამ სურვილის განხორციელების ნება არ მისცა ბრბოს პოლიციამ და 200 ყაზახმა. საღამოთი, როდესაც წრეს გადასული ბრბო შეუდგა დიდ ნიკიტის ქუჩასა და სტრასტნოის ბულვარზედ ფარნების შუშების მტვრევას, უწესოების მოსასპობად და ღამის მოახლოვებისა გამო, პოლიციის დასახმარებლად დაბარებულ იქმნა მესამე დრაგუნთა რაზმის ორი ესკადრონი. პოლიცია და ჯარი უწესოების მომხდენთა დაპატიმრებას შეუდგა. ერთი ბრბო 400 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც გარს შემოერტყნენ, მანეჟში წაიყვანეს, ხოლო მეორე, რომელიც ჰრეტენის ალაყაფის კარებთან ახდენდა უწესოებას, შეიყვანეს ვორობიევის სახლში. როგორც მანეჟსა, აგრეთვე ვორობიევის სახლის ეზოში მყოფთა გვარების ჩაწერის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნენ, როგორც ბრბოს ხელმძღვანელნი, 16 სტუდენტი, 2 სტუდენტად ნამყოფი და ერთი ფერშალი, დანარჩენნი, გვარების ჩაწერის შემდეგ, სახლებში დაითხოვეს. სულ-კი, ზემოდ დასახელებულებთან ერთად, მთელის დღის განმავლობაში პოლიციის წინააღმდეგობის გაწევისა და უწესოებაში ხელმძღვანელობისათვის დაპატიმრებულ იქმნა 34 კაცი, მათ შორის: 21 — უნივ. სტუდენტი და სხვა უმაღლეს სასწ. მოსწავლე; 9 — დედათა სხვა და სხვა კურსის ყურის მგდებელი და 4 — გარეშე კაცი. — 26 თებერვალს, ესე ნაშუადღევის 2 საათზედ, ოხოტნორიადის მოედანზედ შეიკრიბა ბრბო, რომელიც შესდგებოდა 150 სტუდენტისა, ქალისა და გარეშე კაცისაგან. ეს ბრბო პოლიციამ გაჰყო, ნაწილი უკან დასწია და 85 კაცი შეიყვანა მანეჟში, სადაც მათი გვარები ჩასწერა. ამ ბრბოში, აღმოჩნდა 31 სტუდენტი, რომელთაგან ორი, უფრო მეტად დამნაშავე, დაპატიმრებულ იქმნა. იმავე დღეს პოლიციის ნაწილებთან შეპყრობილ იქმნა ქუჩებში არეულობის მოხდენის განზრახვისათვის 25 კაცი, მათ შორის 15 სტუდენტი; შეპყრობილთაგან დატოვებულ იქმნა 2 მამაკაცი და ერთი დედაკაცი. კვირას 4 მარტს, ნაშუადღევის, 2 საათზედ ტვერის ბულვარზე დემონსტრაციულად გაჩნდა ბრბო, ესე 70 კაცისაგან შემდგარი, რომელთა უმრავლესობასაც შეადგენდნენ სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლენი. ამ ბრბოს პოლიცია შემოერტყა და მახლობელ სახლის ეზოში შეიევანა. ბრბოს შეპყრობის დროს შეიკრიბნენ ქალები, რომელნიც პოლიციის მოქმედებასა ჰკიცხავდნენ და ამით სცდილობდნენ ცნობის-მოყვარეთა შორის თანაგრძნობის აღძვრას; ეს ქალებიც რიცხვით 9 ადამიანი, შეიპყრეს. შემდეგ ჩაწერილ იქმნა გვარები უწესოების მონაწილეთა, 67 კაცისა, ამათგან დაპატიმრებულ იქმნა სატეხნიკო სასწავლებლის 11 მოსწავლე, მოსკოვის უნივ. 1 სტუდენტი და 3 ქალი. დასახელებულ დღეებში, როდესაც უწესოებანი მოხდა მოსკოვში, დამნაშავეთა შეპყრობისა და დაპატიმრების დროს არავითარი შეტაკება და ჩხუბი არ მოსულია ბრბოს პოლიციასთანა და დაბარებულ ჯართან. დამნაშავეთა შესახებ გამოძიება იქმნა დაწყობილი სასწავლებელთა მთავრობებისა და საადმინისტრაციო მოხელეთაგან. 4 მარტს პეტერბურგში, ესე დილის 11 საათზედ, ყაზანის ტაძართან შეიკრბნენ სხვა-და სხვა წოდების კაცნი, რომელთაც თავი მოიყარეს თვით ტაძარში, იმის გარშემო და მოედანზედ. 12 საათზედ ბრბოს უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და დედათა კურსების ყურის-მგდებელნი მიემატნენ, ასე რომ ეკკლესია, ეზო, ბაღი და გვერდის გასავლები მთლად ხალხით გაივსო. იქმნებოდა იქ 3000 კაცამდე. როდესაც პოლიცია დაშლასა თხოულობდა, დამსწრეთა უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევდა პოლიციის სიტყვებს. ხალხში ავრცელებდნენ სხვა-და-სხვა ფურცლებს, ხოლო ერთი სტუდენტი ტაძრის კარებთან ხმა მაღლა შეუდგა პეტერბურგის სტუდენტების სახელით მოწოდების კითხვას. მოწოდებაში სხვა და-სხვა მოთხოვნილება იყო დასახელებული. ატეხა ხმაურობა და ყვირილი, რის გამო დაბარებულ იქმ… მრავლად პოლიციელნი და ყაზახ… რომელთაც სრულიად მოსწყვიტეს მო… დანზედ მყოფი ბრბო ნევსკის პრო… სპექტს და გარშემო მრავლად შეკრებილ… საზოგადოებას. როდესაც რაზმი გამ… და, შეკრებილმა ბრბომ უკან, ტაძ… კარისკენ, დაიხია და პოლიციას… ჯარს სხვა-და სხვა ნივთები დაუშინ… ამასთან რამდენმამე სტუდენტმა განიზ… რახა გაშლა წითელისა და თეთრის დრო… შებისა (ეს დროშები თანა ჰქონდათ), რომლებზე წარწერები იყო. დროშებ… მაშინვე წაართვეს სტუდენტებს. ტაძ… რის მარჯვენა მხარეს ბრბო შეებრძოლ… პოლიციისა და ყაზახთა რაზმს; რკინის… შანთებით, რომლებიც ეკკლესიაში ს… ლიხვებს აცილეს, ისროდა კალოშებს, გაყინულ თოვლს და ქვებს. ამ დრო… ბრბოდგან გასროლილ რკინის ჯოხ… თავში დაჭრილ იქმნა ლეიბ-გვარდიის მისის უდიდებულესობის რაზმის ესა… ლი ისეევი, ამასთან რკინა იმდენად მა… რამ მოხდა, რომ დასახელებული ოფი… ცერი დასისხლიანებული ჯარიდგან გა… გასხილ იქმნა. დაიხახეს რა ეს ყაზახე… მა, ბრბოს მეაგულისაკენ გაიწიეს, ეკ… ლესიისაკენ, სადაც მათთა და ბრბოს… შორის ჩხუბი გაიმართა, ბრბოს ნა… წილი მოედნისაკენ იქმნა დაწეულ… ამ ნაწილს პოლიცია შემოერტყა და… წაიყვანა, მეორე ნაწილი ეკკლესიაში… შევარდა, ამასთან ზოგი ქუჩაში იყო… ზოგიც პაპიროსსა სწევდა; როდესაც… მღვდელმა შენიშნა ბრბოს ასეთი უწე… სოება, ერთმა სტუდენტმა სახეში… მოჰკრა. თუმცა ეკკლესიაში უწესო… და ხმაურობა ატყდა, წირვა მაინც ბო… ლომდე არ შეწყვეტილა; მლოცველთ… უმრავლესობა ეკკლესიიდგან გვერდ… კარებებით გავიდა. ადსავლის კარებ… დახურვის შემდეგ წინამძღვარი გამოვ… და უწესოების მომხდენთა დასარიგე… ლად, მაგრამ იმისმა ძეცადინეობამ უშ… დეგოდ ჩაიარა; ხოლო როდესაც წინა… მძღვარმა სთხოვა ბრბოს ეკკლესიიდგ… გასვლა, წინამძღვარის უკან მდგომმა… ახალგორის სახელოში ხელი წავლო და… ურჩია, უსიამოვნების თავიდგან ასაცი… ლებლად, თვით გადით ეკკლესიიდგ… ნაო. შემდეგ ბრბომ ტაძრის უკანა ბა… ღისაკენ დაიწია სათათბიროდ. უმრავ… ლესობამ გადასწყვიტა არ გავიდნენ ეკ… კლესიიდგან სათითაოდ და გაასაღე… როს ყველაფერი, რაც-კი იმათ სახელ… ჩრდილს მოჰფენდა. ამ დროს შეიყვ… პოლიცია, რომელმაც დაარწმუნა ეკკლე… სიაში დარჩენილნი, რიცხვით 300 კა… ცი, ტაძრიდგან გასულიყვნენ და გაჰ… ყოლოდნენ პოლიციას ყაზახის ნაწილ… ში. მოედანი ტაძრის ნაშუადღევის პი… რველ საათისთვის განთავისუფლებულ… იქმნა უწესოების მომხდენთაგან, რომ… ლის შემდეგაც პოლიცია და ყაზახებ… იძულებული შეიქმნენ რამდენსამე სა… თის განმავლობაში ხელი შეეშალათ, ნევსკის პროსპექტზედ თავი არ მო… ეყარათ შეკრებილთ, რომელნიც, სამწუ… ხაროდ, მეტად მრავლად შეგროვდნ… სადოვოის ქუჩასა და პოლიციის ხიდ… შუა და რომელნიც აფერხებდნენ პოლი… ციის მოქმედებას. სულ შეპყრობილ… იქმნა 4 მარტს 760 კაცი, რო… მელთაგან 339 კაცი სატახტ… ქალაქის უმაღლეს სასწავლებელთ… სტუდენტია, 317 ქალია, უმთავრესად… სხვა და-სხვა კურსის ყურის მგდებელ… და 44 გარეშე კაცი. ბრბოსთან შეტ… კების დაჭრილ იქმნა ზემოდ დასახ… ლებულის ესაულის ისეევის გარდა ბო… ქაული პოლკ. გილხევსკი თავში დაშავ… ბულ იქმნა ისე ძლიერ, რომ მკურნალ… თა შემწეობა დასჭირდათ, 20 პოლი… ციელი და 4 ყაზახი, ხოლო დაპატიმ… რებულთაგან 18 კაცი და 14 ქალი. გა… მოძიება სწარმოებს დამნაშავეთა შესახებ".

◆ ◆

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Марта 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.